

ს.ს. ზ. შარბინძე

1964

1
1964


11-21

ქვეყნის

ბაზარი

ქვეყნის
ბიზნესი

შოპის დიდი ხანია



№ 1 თბილისი იანვარი 1964

საქართველო

ბათუმის 41-ე შელი, ფასი 20 კპ.



ნახ. შ. აბაშიძისა

გულითადი შეხვედრა ზამთრის კურორტ ბაკურიანში. ჩამოსულ დამსვენებლებთან.

თქვენი თქვენი

საპუტარო იარაღებით

თუ სპირტი არის, ბოთლების შოვნას რა უნდა, საცობის შოვნაზე ადვილი რა იქნება, ან იარაღებისა, ანდა ლუქისა, ანდა თაბაშირის ბეჭდებისა. მერე მიდი და ურეე სპირტი ჩვენს სახუკვარ და მაცოცხლებელ ნატანტარსა და ბულაჩაურში, ჩაასხი ბოთლებში. დაუეცე საცობი, გაუკეთე ლუქი, ტყაბე თაბაშირის ბეჭედი, მიაკარი იარაღი და „დედაქალაქური“ მზად არის.

რა დასჭირდა ყველაფერ ამას? ოდნავ ტვინის განძრევა, ოდნავ ხელის სიმარჯვე და მეტი არაფერი. შენც მადლობელი იქნები, მადლობელი იქნება ისიც, ვინც სპირტი ააცოცა თავის დროზე და თავის ადგილზე, ვინც იარაღებით მოგამარაგა, ვინც თაბაშირის ბეჭედი გაგიკეთა, ვინც თეთრ-თეთრი ბოთლები გამოგვინა, ერთის სიტყვით. მომრავლდება მადლიერთა რიცხვი და არმია.

და განა მარტო ისინი იქნებიან მადლობელი? სასურსათო მალაზიების სპირტიანი სასმელების გამყიდველებიც, სასაუზმეების დახლებზე ვაჭრებიც და მათი უმცროს-უფროსებიც.

აი, ასეთი მოღვაწეობის დროს (დახეთ ადამიანთა უმადურებას!) დააკავეს ანდრონიკ ბაღდასარის-დე მხიტარიანი (მცხ. ბეთანიის ქ. № 23) და დედამისი, როცა მალაზიაში ჩასაბარებლად კალათებით მიჰქონდათ ახალთახალი ჩამოსხმული არაყი... დააკავეს და ამასაც არ

დააჯერეს (კიდევ ერთხელ დანეთ ადამიანთა უმადურებას!) სახლიც გაუჩხრიკეს და აღმოუჩინეს იარაღიები. სპირტი, თაბაშირის ორი ბეჭედი, პლასტმასის საცობები, ლუდი და... ბულაჩაური...

იგივე ბედი ეწია მათსავით უნივერსალ სერგო მელიქის-დე მარტიროსოვს (მცხ. მახათას ქ. № 4). მას ბინაში სულ რაღაც 165 ნახევარილიტრიანი საკუთარი ხელით დაბეჭდილი არაყი აღმოუჩინეს, 20 ლიტრი სპირტი, კონიაკისა და არაყის იარაღიები, საცობები, თაბაშირის ბეჭდები და... ეს უკანასკნელი მარტიროსოვის კიდევ უფრო დიდ უნივერსალობას ამტკიცებს... ხის ჩარჩოებზე გასაშრობად გადაჭიმული რვა ტყავი...

იქნებ თავისთვის დაბეჭდეს ეს არაყები, იქნებ თავისთვის გადაჭიმა მარტიროსოვმა ის ტყავები! ჰოდა, მოეშვი, ახლა ასეთი „ამაგისათვის“ ტყავი უნდა გააძროთ?!

ბ. მესხი

გულს გული იცნობს

ქუთაისის ბაზარზე ხანდახან ქალაქის პარკების ნაკლებობა რომ შენიშნა, არც დღე დაიძინა და არც ღამე ხალხსათვის ზრუნვით თავატიკვებულმა იაკობ მიხეილის-დე ბუზიაშვილმა (მცხ. ქ. ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. № 5-ში), მოახტა მანქანას, გამოეჭანა თბილისში. ნახა ქ. თბილისის ხე-ტყის და ქალაქის გასაღების ბაზის № 2 საწყობის მაშინდელი გამგე ა. მ. სარაჯიშვილი (მცხ.

საბურთალოს ქ. № 30), მოელოპარკა მიხეილს, გაუგეს ერთი მეორე, გულს საწადელი, ერთის სიტყვით, იცნო გულმა გული.

მისცა ბუზიაშვილმა სარაჯიშვილს 600 მანეთი და მიაცა სარაჯიშვილმა ბუზიაშვილს 2 ტონა გასახვევი ქალაქი, ჩუმად გააპარებინა სარაჯიშვილმა ქალაქი, უფროსებმა რომ გამიგონ, თავი ცოცხალი რაღაც მიინდა, ნღობსაც დაუკარგავ, ადგილსაცო.

გავიდა ბუზიაშვილი თბილისიდან ქალაქით დატვირთული, გულზე ჰოეშვა სარაჯიშვილს, ბედნიერი გზა უსურვა კეთილისმყოფელს და გული დაიარხინა.

თავრამ არ ეძინა ფხიზელ თვალს, დააკავეს ბუზიაშვილი ხაშურში, ავაზინდინა ქალაქი იმავე მანქანით იმავე საწყობში, რომელი მანქანითაც და რომელი საწყობიდანაც გაზიდა, მერე ხელი ხელში გააყრევინეს სარაჯიშვილი-სათვის და მიაბრძანეს.

ორნი არიან, ტოლნი არიან.

ახლა, თუ ქუთაისის ბაზარზე ქალაქის პარკების ნაკლებობას იგრძნობენ მუშტრები, ბუზიაშვილისა და სარაჯიშვილის დამკავებელთა კისერზე იყოს მათი „ცოდვა“.

ბ. როგავა

საშვის ეკონომია

ავტოკოლონა 26—51-ის მძღოლ გრიგოლ ბენიამინის-დე ვაბოიანს ეკონომია ძალიან უყვარს, პირდაპირ ძვალ-რბილში აქვს გამჭლარი.

ყველა ადამიანს თავისი ჭია აწუხებს. ზოგი მარკებს აგროვებს, ზოგი ასანთის კოლოფებს, ზოგი კიდევ... ნაფტალინში ჩაღებულ ასმანეთიანებს. გრიგოლ ბენიამინის-დეს მარტო ერთი სახის ეკონომია უყვარს, სახელდობრ. საშვის ეკონომია.

— რა არის საშვი? — საშვი, უპირველესად ქალაქია, რომელზედაც წერენ. საშვით რომ გაიტანო ტვირთი, ამით საშვი არც იხევა და რაც იცვივება. არც კი ხუნდება აქედან დასკვნა: შეიძლება ერთი და იგივე საშვის რამდენიმეჯერ გამოყენება.

ეს აზრი ორ დიდ ადამიანს ერთდროულად დაეხდა: გრიგოლ ვაბოიანს და საავეჯო კომბინატის სახერხი საამქროს წუნმდებელ გიზო შალვას-დე ღვალაძეს... დიახ, ერთბაშად დაეხდათ... შეიქმნა ახალი ბოილ-მაროტი, ესე იგი შეიქმნა ვაბოიან-ღვალაძე.

კანონიერი საშვით 6 კუბმეტრი ხეტყის მასალა კანონიერად გაიტანა ვაბოიანმა № 9 ფილიალისათვის და მერე იმავე საშვით კიდევ 6 კუბმეტრი ხეტყის მასალა გაიტანა „სამშვიდობის“ ვაბოიან-ღვალაძის სასარგებლოდ.

ეგ ოხერი მუშტარი მაშინვე არა ჩნდება, როცა გინდა... მიაბარეს ერთ ნაცნობს ძვირფასი ნადავლი და ის-ის იყო მუშტრის საძებნელად უნდა დაძრულიყვნენ, რომ „არ გაინძრეთ!“ უბრძანეს მძაკაცებს.

ახლა ისეთ ადგილას არიან, რომ ბევრი გაინძრუნ, მაინც ვერ წავლენ შორს. მაშ, მაშა, ასე იცის საშვის ეკონომიამ.

ბ. გუაკაშვილი

კომუნისტური საზოგადოება

ჩემი მოგზაურობის მიზეზი ჩემივე ათეისტური ბუნება გახდა. რელიგიური ატრიბუტების მიმართ სიყრმიდანვე აგრესიულად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ნაცნობ-მეგობრების მოყოლილმა ამბებმა მკითხავების ექვმიუტანელ მისწრაფებაზე მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თავად მივსულიყავი მარჩიულებთან, რათა ჩემი ყურით მომესმინა და თვალთ შენახა ის ოინბაზობა თუ გულთმისნობა, რომლებიც, რატომღაც, სჭერათ ადამიანების ერთ ჯგუფს.

ამისათვის სპეციალურად შევთხოვე არარსებული ამბავი უღამაზესი ასულის დაკარგვის შესახებ.

ავიღე რესპუბლიკის „დამსახურებულ“ მისანთა დისლოკაცია და შევუდექი მოგზაურობას ლანდების სამყაროში!

პირველად „თათრის მოედანზე“, ბოტანიკური ქუჩა № 84-ში მცხოვრებ მოლაღყოფილ ჩაწიშას მივაკითხე.

მოდამ ხუთწუთიანი პაუზა გააკეთა და დამტვრეული ქართულით მითხრა: „კასო, ზალა! დღეს ალახის ლაპარაკი არ არის!“ დავიღუბე, ჩაწიშასა და ღმერთს შორის კავშირგაბმულობის ხაზი დაზიანებული აღმოჩნდა!

„მოკლე ტალღაზე“ რომ არა გამომივიდა რა, ახლა „გრძელ ტალღაზე“ ჩავრთე და კურსი კასპის რაიონისაკენ ავიღე.

მატარებლის ბილეთს რომ დავხედე, ზედ მეცხრე ვაგონი ამოვიკითხე, არც ცხრიანი მაქვს კარგად დაცდილი, მაგრამ რას იზამ... საათნახვევრის შემდეგ კასპის სადგურზე აღმოვჩნდი, გავშალე ჩემი რუკა“ და ყარაღჯისაკენ მიმავალ ავტობუსს ვავეყვი, მგზავრებმა მითხრეს, რომ ამ სოფლის მკითხველი ნატო, ამ რამდენიმე თვის წინათ სრულიად უკითხავად მიუღია



უფალს! ამის გამგონეს „ცხრიანზე“ ყვავის ტუზიანი“ დამეტა... დავბრუნდი ისევ კასპში და ის გრძელი დამე სასტუმროში გავათენე. მეორე დღით ავტობუსს რომ ვერ შევხვედი, შემთხვევით გამვლელ სატვირთო მანქანაზე დავჩემი და ახალქალაქისაკენ მიმავალ შოსეს ვავეყვი.

მე და მანქანის მძღოლი კარგა ხანს უბრებივით ვისხედით, დაბოლოს, სიჩუმე ისევ მძღოლმა დაარღვია და ცნობისმოყვარეობით მკითხა:

- ვისთან მიდიხარ, ბიძაჩემო?
- მკითხავთან, — მივუყვი მე.
- დეიდა სონასთან?
- შენც იცნობ?

— მერე როგორ ვინ დათვლის რამდენი ქვრივი და შავოსანი მიმიყვანია.

— რატომ მაინცდამაინც შავოსანი?

— ამან ცოცხლებსა არაფერი იცის, მკვდრებზე კი მისწრება!

ამ ლაპარაკში მივედით კიდეც, მანქანა ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა და თავად ეზოში შევიდა. — დეიდა სონა, შენთვის კლიენტი მომიყვანია პა! აბა, შენ იცი! — უთხრა სიცილით მძღოლმა. მე კი მანქანის კაბინაში ვწვივარ, მესმის ხმამალალი ლაპარაკი. შეიღები ემუქრებიან სონას, ტუქსავენ, არ აძლევენ უფლებას, რომ მიმიღოს თავის სამლოცველო კაბინეტში... ასე გამომისტუმრა უარით ლანდებისა და მოჩვენებების დიდოსტატმა, საფლავების შინამდებარე მიცვალებულების დიდმა შესაიდუმლომ — მერაბა-ანთ სონამ..

დავბრუნდი ხელმოცარული ისევ სასტუმროში, საწოლის კუთხეზე ჩამოვჯექი და თავი ფიქრს მივეცი. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში დამლაგებელი ქალი შემოვიდა და შემეხმინა:

— ნუკი დამძრახავთ კითხვის-თვისა და რათა ხართ აგრე დაფიქრებული, ჩემო ბატონო?!

— რა ვქნა, მკითხავ სონასთან ვიყავი და არ მიმიღო!

— შენც ადექი და ნიაბელ ნინასთან მიდი ცოცხლებისა მან უფრო კარგად იცის!

მეორე დღეს უკვე ნიაბში ვიყავი.

ეზოში რომ შევედი, ჩემს გარდა ათიოდე ქალი და მამაკაცი ელოდებოდა მკითხავს. ყველა თავის გასაჰირზე ლაპარაკობდა. ერთი საქმოდ მალალი კაცი გვარწმუნებდა, რომ ნინა ნამდვილი გულთმისანია. ნინამ თურმე გასულ წელს წგლკავისაგან განკურნა იგი, რჩევა მიუცია, რომ ეკლესიაში ცხრა დღის განმავლობაში, დღეში ცხრაჯერ უნდა მოხვეოდარი მებრის სიმაღლეზე დაკიდებულ ხატს, და, ბოლოს, მართლა გამართულა წელში კითხვის ნიშანივით მოკაკული ვაყვაცი.

ერთი შუახნის ლამაზი დედაკაცი ჩემი ვინაობით დაინტერესდა, მომიახლოვდა და მისვლის მიზეზი მკითხა. მეც ჩემს მიერ შეთხზული ლეგენდა ვუამბე: ვითომ მე მყავდა უღამაზესი ქალიშვილი და ვიღაც უცნობებმა თვალსა და ხელს შუა მომტაცეს, კინოში ყოფნის დროს... (მე ქალიშვილი სულაც არ მყოლია). იმ დღეს მკითხავი არ მოვიდა, ყველანი დავიშალენით. ორი დღის შემდეგ დაბრუნებულიყო თბილისიდან და დიდი მოკრძალებით შემ-



ხედა, ჯერ თავით ფეხამდე შემათვალეირა, მერე ოთახში შემოდგა და კუთხეში სკამზე დამსვა, კუთხე გაფორმებული იყო სხვადასხვა ხატებითა და წმიდანების სურათებით. ექსპონანტა შორის წარმოდგენილი იყო მიქელ ანჯელოს, რაფაელის, რეპინისა და ფიროსმანიშვილის შედევრთა ფოტოსალები. მისანმა ჯერ სანთლები აანთო, მერე პირჯვარი გაღისახა და დაიწყო: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, იყავ ნება შენი, წმინდა იყავ შენ და იყავ სახელი შენი წმინდა. მოველ სუფევა შენი, ვითარცა ცათა შინა ევრემცა ქვეყანასა ზედა. მე მიწა ვარ, რომლისგან მზადდება თიხა და ვარ უძლეური ვაუწყო განგება უფლისაი, ამისათვის მომეცი მე ძალა შეცნობისა ყოველივე უხილავისა. მითხარ იღუმალებანი შენი და მასწავლე სად იმყოფება დაკარგული ასული ძისა

შენგანვე შობილისა. მაუწყე დელაღვისა, ღვთის მშობელიო. წმინდაო წმინდათა შორის, სასუფეველი დავუმკვიდრო თუ ცოცხლად ჩავთვალო ასული, რომელიც არს დაკარგული, რათა შეუშროთვალთაგან ცრემლი მოყვასს: უფლისასა და ბიძასა ჩემსა... მითხარ, ნუ ავვიანებ პასუხსა შენსა, სად არის დანაკარგი, თუმცა მე შენგანვე მაქვს აკრძალული სიტყვა დავძრა დანაკარგზე“. მერე მე მომიბრუნდა და დამაჩერებელი ტონით მითხრა:

— ნუ გეშინია, შენი ქალიშვილი ცოცხალი არის და სულ მალე იხილავენ მას თვალნი შენნი, ასე მაუწყებს მამაშეციერი. ვინაიდან გასამრჯელოდ განსაზღვრული თანხა არა აქვს დადებული, მეც მანეთიანი დავდე ფულისათვის განკუთვნილ ხონჩაზე.

მკითხავმა ნინა სუსუნაშვილმა ვერ ამოხსნა ჩემი მასთან ჩასვლის ნამდვილი მიზანი, მაგრამ სამაგიეროდ მე ამოვხსენი იღუმალებათა და ლანდების მომთხრობ ბოდვათა საიდუმლოებანი, სიცრუის მთხვევლთა დიდოსტატაგან ნაცოდვილარი.

ს. შუიშაური


ნახ. ნ. მალაზონიანი



— მიიღე, უფალო, მართალია ნაქურდალია. მაგრამ იმ მკითხავს მოვპარე, რომელმაც შემოწირვა მიჩრია!

კირავი სტუმრად ნიანბთა

ჩვენი რესპუბლიკის საბირისა და იუმორის შურნალმა „ნიანბთა“ სტუმრად მოიწვია მოქმე საბჭოთა აზერბაიჯანის საბირისა და იუმორის შურნალი „კირავი“ („ზღარბი“) და სპეციალურ გვერდზე გეგდავს მის მიერ გამოქვეყნებულ ფელეტონებს, იგავებს და ნახაბებს.



ნახ. ნ. ნაჯაფაულისა


— ნეტავი ახლოს მოვიდეს ფერმის გამგე, როგორ შევახრამუნებლით მის ჩალის შლიაბას!

გზაჯვარედინზე

ერთ კუნაბეტ ღამეს გზაჯვარედინზე შევჩერე მანქანა, რადგან არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. მოსახვევით ჩაიხანა შევნიშნე და გადავწყვიტე იქ შეკითხა. ზღურბლზე გადავბიძგე, მეჩაიხანეს მივესალმე და ვუთხარი:

- დარაბულალში მინდა წასვლა, მასწავლეთ, მარცხნივ წავიდე თუ მარჯვნივ!
- მეჩაიხანემ გაიცინა, თეთრი კბილები გამოაჩინა და მითხრა:
 - სანამ არომპატიან ჩაის არ დალევთ, არ გეტყვი.
 - ბაშუსტა, — სიამოვნებით!
 - დავლიე ჭიქა ჩაი და თხოვნა გავუმოორე.
 - მეჩაიხანემ თვალები მოჭუტა და გაიცინა:
 - ცხვრის ბასტურმა მაქვს ისეთი, ჭამით ვერ გაძლები.
 - დიდი მადლობა, მაგრამ არა მშობი და მეჩქარება კიდევაც...
 - თქვენს თავს ვფიცავარ, არ იქნება. სანამ არ შეჭამთ, გზას არ გიჩვენებთ! გამოდის, რომ თქვენ გინდათ დავდე გზაჯვარედინზე და გზა ვასწავლო მგზავრებს, შენ აქეთ წადი, შენ აქეთ-მეთქი. მაშინ რალა ჯანდაბას მინდოდა ჩაიხანა, ვილამ ივაპროს? ხომ ასეა?
 - ნაძალადევი შევჭამე მწვადის რამდენიმე ნაჭერი და, ის — ის იყო წასვლა დავაპირე, რომ მეჩაიხანემ ახლა ჩაი და შაქარი შემომთავაზა.
 - დალიე, ჩაი დალიე, თორემ, ვაითუ გზაზე მუცელი გეტკინოს.
 - ეს მოთხოვნაც შევასრულე, ანგარიში გავასწორე და ვუთხარი:
 - ღვთის გულისათვის, ახლა მაინც მითხარით, რომელი გზა მიდის დარაბულალში?
 - ორივე, — მიპასუხა მეჩაიხანემ და კინალამ გაიგულა სიცილით.

სალამ კადირზადე



ინსტრუქციის არგახეხები

ნახ. ჯ. რივაზიისა

— იმდენ დირექტივას იძლევიან, რომ ბრინჯივით იბნევა.

თავი დაბანებთ

მე ნუნუს ტრფიალი ვარ. აი ჩემი სალოცავი, ისევ ისე ნასვამი ვარ, ჰოდა, დამანებეთ თავი. როცა ასე მუქთა-მუქთად მოჩქეფს შარბათივით ღვინო, მე სხვა საქმე, აბა მითხარ, რისთვის უნდა გავიჩინო, დარდიმანდი კაცი ვარ და, არ დავლიო, არ ვილხინო? კოლექტივის თავმჯდომარეს ძირს მიხრიდნენ ერთ ხანს თავებს, ვიღრე საქმე საბოლოოდ ჩავშალე და ჩავაფლავე. და, ვინ მოთვლის, თუ რამდენჯერ გამთათხეს და გამაშავეს... ახლა მხოლოდ დროს ტარება დამრჩენია საზრუნავი, თავში ღვინო მიჩუნჩუნებებს, ჰოდა, დამანებეთ თავი! საქმეს თავი მივანებე და დავდივარ ნება-ნება, დროსტარება და ქეიფი აი, ჩემი ორი მცენება. დაბირებას ბევრს ვიძლევი, მაგრამ ვტოვებ დაბირებად. არა ვდარდობ დარდიმანდი, გინდ, კარგი თქვან, გინდა ავი, მთვრალი კაცი, კაი კაცი, წადით, დამანებეთ თავი! მთათხავენ და ჩუმადა ვარ, ვითომ ყრუ ვარ და არ მესმის, სხვა რალა ვქნა, როცა დავალ ავი სიტყვით დანაგესლი. ვსვამ და დარდებს მით ვიქარვებ, მოქეიფე გავხდი სვავი, ზარხომად ვარ, ნასვამი ვარ, ჰოდა, დამანებეთ თავი! დოვლათს ჩემის კოლექტივის ვანიავებ, როგორც მინდა, გინდა ვინმეს ვუფეშქაშებ, გინდ გავატან ვასაყიდად, პურ-მარილი გამიხდია ამ ცხოვრების გზად და ხიდად... ჰოდა, რაც ვარ, ის ვიქნები, გინდ კარგი თქვით, გინდა ავი, არც მე გერჩით, თქვენც ნუ მერჩით, ძმაო, დამანებეთ თავი! ო, არაყო, ოი, ღვინოვ, ო, წიწილაგ, ოი, მწვადო, მარტოდმარტო თქვენზე ფიქრით შემიძლია გავიბადრო, მარტო თქვენით ვარ ვართული და არ მრჩება მეტი სხვა დრო, მომხსნეს, როგორც უვარგისი, მაგრამ მაინც არა ვდარდობ... მაცათ, იქნებ გამოვფხიზლდე, მოვიშორო დარდი შავი.. მთვრალი კაცი, კაი კაცი, წადით, დამანებეთ თავი!

ჭუსიენ ნადირ

კაბინეჯის კართან

ერთხელ ეზოში

- რაღა დაბარებულევით მოდინარა?!
 - დაბარებული ვარ!
 - ვინ დაგინარა?!
 - უფროსმა!
 - რაზე?
 - საწყობის გამგელ გამომგზავნეს და საბუთები მოვიტანე!
 - დაიცადე!
 - მეჩქარება!
 - მაშინ წადი და მერე მოდი!
 - ახლა შემიშვი!
 - არ შეიძლება!
 - რატომ?
 - გამაფრთხილა, უჩემოდ კაბინეტში არავინ შეუშვავო!
 - თვითონ წასულია თუ?!
 - კი!
 - ასე გეტყვა, შე კაი ქალო, სად არის წასული?
 - საავადმყოფოში, სიდედრი ყავს უკანასკნელ დღეში!
 - აუ, დაღუპულა კაცი!
 - აბა, აბა, ამას წინათ ბებია მოუკვდა, იმაზე აღრე ბაბუა მიაბარა მიწას, ახლა სიდედრი... დავიხოცეთ ხალხი და ეს არის!
 - შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ...
 - მიდინარა?
 - კი!
 - რა გადავცე?
 - სხვა საწყობის გამგე მონახოს!
- ბრ. ჩიქვილაძე

— რა ამბავი იყო წუხელ კვიტაქესთან? — ჰკითხა მართამ პელაგისას.

— ისეთი არაფერი, გიორგი მოსულა ნასვამი და შემთხვევით სერვანტი გადმოუბრუნებია.

— რა მოხდა გუშინ მესამე სართულზე? — ჰკითხა მართას ტასიამ.

— რა და, გიორგი მოსულა მთვრალი, ცოლთან მოსვლია წალაპარაკება და დაუღუწია კურკლეულობა!

— „ვოტ ისტორია“? — გაიკვირვა ტასიამ და მიუბრუნდა კესარიას: — გუშინ გიორგი ვალეშილიყო და ძლივს გამოართვეს ხელიდან ცოლი, სათითაოდ დააფშვინა თავზე ჰიქა და თეფში!

— რა მითხარი ეს! — შეიცხადა კესარიამ და გაავარდა ეფროსინესთან.

— გიორგის გაუგია წუხელი, ცოლი მლაღატობსო, ვალეშილა და სიკვდილის პირზე მიუყენებია საწყალი ქალი, იარაღის ნმარება უნდოდა თურმე, მარა ვერ უპოვინა...

— კარგი ერთი, ნუთუ მართლა ღალატობს? — იტყვიდა ხელი შუბლში ეფროსინემ. — რომ შეხედავ ანგელოსი გეგონება!

— აბა, შენ გაუგებ რამეს ადამიანს? — ჩაილაპარაკა კესარიამ და კარი მოიხურა.




6. ა. ლონისა
— კიდეც იტყვიან სახუქს არ იყენებენ თქვენს ბრიგადაშიო, ხედავ რა კარგი თოვლის ბაბუა გამოვიდა!



6. ა. გორდუნიანისა
პრეტისტორიული ხანის ბრაკონიერები.

ახსანავო ნიანგო



პატივცემულო ნიანგო

დგას, მაგრამ რა სახლი დგას, რა სახლი, ეგერ ე, აკაკი წერეთლის ქუჩა № 89-ში. კი არ გვეგონოს, გვეზუმრებოდე, მართლაც რომ ჩინებული სახლი დგას, იგი სავსეა ბინადრებითაც და შიგნით ცხოვრება დულს და გადმოდულს.

ასფალტისანი ეზო აქვს სახლს და, ამ მხრივ, სასაყვედურო არაფერი ეტყმის, მაგრამ ასფალტი შიგადაშიგ ამოჭმულ-ამოღრმავებულია და თუ ფანარი არ წაიშდვარა ღამებულში ბინადარმა ან ბინადართან მოსულმა სტუმარმა, უთუოდ სადმე ჩაგარდება და ან ფეხი მოტყდება ან კისერი.

ეს რაც შეეხება თვალსილუღებს, მაგრამ სახლის მოვლის ვალდებულების მქონეთ ის გარემოება მაინც უნდა მიეღოთ მხედველობაში, რომ იქ ბრმა მუსიკოსი სპარტაკ გონჯილაშვილი ცხოვრობს ოჯახით, თუ თვალსილუღათათვის თვალა მეგზური, სპარტაკის მეგზური ზოხია. აკაკუნებს ამ ზოხს და მიიკვლევს გზას სამსახურში მიმავალი და სამსახურიდან მომავალი და გრძნობს თვალსილუღათა უყურადღებობას.

იქნება ვინმე თქვას, ეს პატარა საქმეაო, საწვიმარი მილიდან ლოჯში გონჯილაშვილს წყალი რომ ჩამოუდის, ისიც წერილობითაო, კიბეებზე ფილები რომ ამოყრილია, მამც არაფერიო.

კი პატრონო, არცთუ ისე დიდი საქმეა, მაგრამ დიდი ყოველთვის პატარაით იწყება და გაფუჭებულ საქმეს თავიდან თუ არ უშეგლე, ბოლო უფრო გაძნელდება.

ამიტომაც მოგმართავთ, ძვირფასო ნიანგო, მოაგონე ეს წერილობა ვისაც ჯერ არს და გააკეთებინე დროზე, ვიდრე ვინმე მართლა მიიმტვრევდეს კისერს.

ნიკაური

პატივცემულო ნიანგო, კარგად მოგეხსენებათ, წყნეთის კარგი ჰაერი თუ რამდენ თბილისელ დამსვენებელს იზიდავს ზაფხულში.

მთელი ზაფხულის განმავლობაში, როგორც დამსვენებლები, ისე წყნეთის მკვიდრნი და განსაკუთრებით, ის მკვიდრნი, რომლებიც მუშაობენ თბილისში და ცხოვრობენ წყნეთში, კარგად გრძნობენ თავს, ტრანსპორტის მხრივ.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, (განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც თბილისში მუშაობს) შემოდგომის მოახლოებისას, დაგვეშვიდობნენ დამსვენებლებიც და ავტობუსების გრაფიკით მოძრაობაც.

ახლა ავტობუსები იშვიათად ამოდიან წყნეთში, ისიც კარგ დარში. ადრეიან დღეებში ყოველთვის ივანიანებენ და ჩვენც იძულებული ვართ ფეხით ჩამოვიდეთ ბაგეზამდერაზე, უკეთ მოგეხსენებათ, სამუშაოზე დაგვიანებას იწვევს.

პატივცემულო ნიანგო, რას გვირჩევ: ჩვენ დავანებოთ თავი სამუშაოს, თუ თბილისის მეორე სამგზავრო ავტოტრანსპორტის კანტონა 26-56-ის მესვეურებმა, რომლებსაც ევალებათ ავტობუსების გრაფიკით მოძრაობის მოგვარება.

ფხვინარაძე

ქმაო ნიანგო!

ხაშურში ბევრი რამ გაკეთდა. მრავალი საუკეთესო სახლი აშენდა, ქუჩებიც გალამაზდა, მაგრამ, რატომღაც, კიროვის ქუჩას არ დაადგა საშველი. ზაფხულობით კიდეც არაფერი, ტალახი მაინც არ გვაწუხებს, შემოდგომიდან დაწყებული კი დიდ ვაი-ვაგლასში ვართ.

ამბობენ დაპირებულს სამ წელიწადს უცდიანო. ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ არ გაგვიმართლა იმედი, ამ რამდენიმე წლის წინათ რაიონულ გაზეთში რამდენჯერმე დაიბეჭდა იმედისმოცემი წერილები, რომლებშიც ქუჩის კეთილმოწყობასა და სამთხედ გადაქცევას გვპირდებოდნენ. მას შემდეგ სამ წელზე მეტი დრო გავიდა, ჩვენს ქუჩას კი არაფერი მომატებია ტალახის გარდა.

ჩვენც ხალხნი ვართ და დათვებით ზამთრობით სახლში ხომ ვერ ჩაიკეტებით. ისე კი ქალაქში ყოველი გასვლა ერთ წვეულ ტანსაცმელად გვიჯდება. ამას რომ თავი დაგანებოთ, არც ღამით გვაქვს მოსვენება. გამოუცდელი მძლოლები, გზის შემოკლების მიზნით, ჩვენი ქუჩით აპირებენ გასვლას და დამის 2-3 საათზე შეიქმნება ხოლმე ყვირილი — გვიშველოთ, ტალახში ვიხრჩობითო. ჩვენც გავრბივართ მიხსაშველებლად და მთელი ღამე ვეზმარებით მანქანების ტალახიდან ამოყვანაში.

ამბობენ, ჩვენს ქუჩას მაშინ ეშველება, თუ რაიონის ან ქალაქის მასშტაბის რომელიმე პასუხისმგებელი მუშაკი გადმოვა აქ საცხოვრებლად. ძალიან ვეჭვობ, რომ ამგვარ რომელიმე მათგანმა მოისურვოს ჩვენს ქუჩაზე ცხოვრება. მანქანით ისარულს შეჩვეული კაცი ახლა წელამდე ტალახში ხომ არ ივლის ფეხით. ვერტმფრენები რომ აყავდეთ, კიდეც კი.

ქმაო ნიანგო, იქნებ შენ მოაგონო ჩვენი ქალაქის მესვეურებს, რომ კიროვის ქუჩა ისეთივე სრულუფლებიანი ქუჩაა ხაშურში, როგორც სხვები და მას არაფრით არ დაუშაბურება ხელმძღვანელების წინაშე ის უყურადღებო დამოკიდებულება, რომელსაც მის მიმართ იჩენენ.

ლავია ტალახაძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. კელიძე.


საქ. კომენტარული კომიტეტის გამომცემლობა

რედაქტორი ნ. შველიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 2/1-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინი ქ. № 14. შეკვ. № 2860. უფ. 04018. ტირაჟი 40.000



ქობა სხვისი სახმარებელი.

